მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2021 წლის 8 ივლისი

ქ. მცხეთა

,, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლს 8 აპრილის N 13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ‘’ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლს 8 აპრილის N13 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 010250050.35.153.016566.12/04/2021) კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ბაქრაძე**